

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #010/13<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ ჩიბურდანიძე (სტუდენტი)

### შეკითხვა:

თუ მოსამართლე აშკარად ცდილობს მოწმის შეცდომაში შეყვანას ადვოკატის მიერ მოსამართლისათვის მიმართვა: „პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე“ ჩაითვლება თუ არა ეთიკურად?

### ანალიზი:

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას სასამართლოში მოქმედი წესები. მან არ უნდა შელახოს პროცესში მონაწილე პირების უფლებები და უნდა დაიცვას ღირსება. ამ საკითხზე ინფორმაციას გვაწვდის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 4.1 მუხლი. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 4.3 მუხლი. ადვოკატის შესახებ კანონის 34-ე მუხლის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე ადვოკატს უფლება აქვს მოსამართლეს მიუთითოს იმის შესახებ, რომ ის არასწორად (არაზუსტად) წარმოადგენს ან ციტირებს ისეთ გარემოებებზე, რაც არ ფიქსირდება სხვა საქმეში. ადვოკატს, ასევე, უფლება აქვს მიუთითოს მოსამართლეს მიკერძოების ან შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევის შესახებ, კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

### დასკვნა:

ადვოკატის მიზანი ამ შემთხვევაში არ იყო მოსამართლის დისკრედიტაცია. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მისი მიზანი იყო სამართალწარმოებაში ხარვეზზე აქცენტის გაკეთება და კლიენტის ინტერესების დაცვა. ადვოკატს შეუძლია გააკრიტიკოს მოსამართლე ისე, რომ არ გასცდეს ფარგლებს. ადვოკატის შეფასება სიტყვებით: „პატივცემულო მოსამართლე, თქვენ შეცდომაში შეგყავთ მოწმე“, არ ჩაითვლება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) და აპეკ-ის 9.1 მუხლების დარღვევად.

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/pdf/5c7fc234272c1.pdf/26%20June%202013%20010.13.pdf>